

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ხალხური სასიმღერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ფაკულტეტის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ქართული ხალხური სამუსიკო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ფაკულტეტი (შემდგომში “ფაკულტეტი”) არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მომზადებას და მათთვის სწავლების საფეხურის შესაბამისად ბაკალავრის და მაგისტრის აკადემიური ხარისხების მინიჭებას.

მუხლი 2. საკანონმდებლო ბაზა

ფაკულტეტის საქმიანობა განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, სხვა ნორმატიული აქტებით, ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესებით.

მუხლი 3. ფაკულტეტის ადგილსამყოფელი და რეკვიზიტები

3.1. ფაკულტეტი განთავსებულია ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 40–ში

3.2. ფაკულტეტი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს შესაბამისად არ გააჩნია კანცელარია და ბლანკი.

მუხლი 4. ფაკულტეტის მიზნები

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ფაკულტეტის საქმიანობის მიზნებია:

- ა) სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული სახელოვნებო სფეროში განათლების უზრუნველყოფა ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების შესაბამისად;
- ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების მიცემა, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება და ამის საფუძველზე პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი ნიჭის განვითარება, თანამედროვეობის შესატყვისი მაღალი კომპეტენტურობის მქონე

პროფესიონალების მომზადება, რომლებიც წარმატებულნი იქნებიან როგორც სახელმწიფო სამსახურში, ასევე კერძო სექტორში;

- გ) სტუდენტებისათვის პრაქტიკული საქმიანობისათვის პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და ცოდნის მიცემა;
- დ) ფაკულტეტის მართვაში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- ე) კვლევისა და სწავლების პროცესების ერთიანობის უზრუნველყოფა;
- ვ) ფაკულტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება;
- ზ) აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული განვითარება.

მუხლი 5. ფაკულტეტის ამოცანები

ფაკულტეტის მიზნების შესაბამისად მისი საქმიანობის ამოცანები და პრინციპებია:

- ა) შეხედულების, სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, რელიგიური და ეთნიკური ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- ბ) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა და ღია ხასიათი, სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის თავისუფლება;
- გ) კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა;
- დ) უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამების შექმნა და განხორციელება;
- ე) უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა მთელი სიცოცხლის მანძილზე;
- ვ) სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესის ერთიანობა;
- ზ) ფაკულტეტის მართვისა და ფაკულტეტზე ჩატარებული ყველა კონკურსის საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- თ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთათვის სწავლის შესაფერისი პირობების შექმნა;
- ი) საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან კომპეტენციის ფარგლებში ფაკულტეტის თანამშრომლობა, საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ურთიერთგაცვლა (ინტერნაციონალიზაცია).

მუხლი 6. სწავლების ენა

6.1. ფაკულტეტზე სწავლების ენა არის ქართული.

6.2. სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

მუხლი 7. ფაკულტეტის სტრუქტურა

7.1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია:

- ა) ფაკულტეტის საბჭო;

ბ) დეკანი;

გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

დ) სამდივნო (მთავარი სპეციალისტი, სპეციალისტი)

7.2. ფაკულტეტზე მართვის ორგანოების გარდა არსებობს შემდეგი სასწავლო სტრუქტურული ერთეულები - სამუსიკო და ქორეოგრაფიული პროგრამული მიმართულებები (დარგობრივი სექციები), ქორეოგრაფიული ანსამბლი „როკვა“.

7.3. მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში-ში მოქმედი წესების შესაბამისად ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას სხვა სასწავლო, სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

თავი II. ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭოს სტატუსი

8.1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც წყვეტს ამ დებულების მე-12 მუხლით გათვალისწინებულ ფაკულტეტის საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

8.2. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.

მუხლი 9. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის დეკანი, აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. სტუდენტთა წარმომადგენლების რაოდენობა უნდა იყოს საბჭოს სრული შემადგენლობის 1/4 (რომელთა არჩევის წესი განსაზღვრულია უნივერსიტეტის-ის სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ დებულებით).

მუხლი 10. ფაკულტეტის საბჭოს პირველი სხდომის ჩატარების წესი

10.1. ფაკულტეტის ახალარჩეული საბჭოს პირველ სხდომას იწვევს ფაკულტეტის დეკანი ან საბჭოს უხუცესი წევრი არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 1 კვირის ვადაში. პირველ სხდომაზევე საბჭო ცნობს თავის უფლებამოსილებას, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

10.2. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანი.

10.3. ფაკულტეტის საბჭოს პირველ სხდომაზე ღია კენჭისყრით, ხმების უბრალო უმრავლესობით აირჩევა საბჭოს მდივანი.

მუხლი 11. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მომზადებისა და წარმართვის წესი

11.1. ფაკულტეტის საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ კვარტალში ერთხელ.

11.2. ფაკულტეტის საბჭოს სხდომას იწვევს ფაკულტეტის დეკანი. რიგგარეშე სხდომის ჩატარება შეიძლება დეკანის ან საბჭოს წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით.

11.3. სხდომის შესახებ საბჭოს წევრებს აცნობებს საბჭოს მდივანი.

11.4. დეკანის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს საბჭოს უხუცესი წევრი.

11.5. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა არანაკლებ 2/3.

11.6. ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით.

11.7. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც აწარმოებს ფაკულტეტის საბჭოს მდივანი.

მუხლი 12. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

12.1. ფაკულტეტის საბჭო:

- ა) ადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების და საერთო სამაგისტრო გამოცდების საგნობრივ კოეფიციენტებს და ფაკულტეტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
- ბ) განსაზღვრავს ბაკალავრიატის არჩევით და მაგისტრატურის სპეციალობის საგნებს.
- გ) განიხილავს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანის მიერ შემუშავებულ ფაკულტეტის განვითარების ერთწლიან სტრატეგიულ გეგმას;
- დ) ამტკიცებს აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობას და გადაწყვეტილებას;
- ე) დეკანის წარდგინებით განიხილავს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის-ის აკადემიურ საბჭოს;
- ვ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს;
- ზ) განიხილავს ფაკულტეტის დეკანის წინადადებას ცალკეულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების შესახებ და განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
- თ) დეკანის წარდგინებით განიხილავს სტუდენტთა აკადემიური შეფასების მდგომარეობას;
- ი) დეკანის წარდგინებით განიხილავს სტუდენტთა დისციპლინური დევნის საკითხებს;
- კ) განიხილავს, შეისწავლის და რექტორს წარუდგენს დასკვნას ცალკეული დამრღვევების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების თაობაზე;

- ლ) დეკანის წარდგინებით განიხილავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის შესაბამისი პირობების შექმნის საკითხს;
- მ) ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის სასწავლო ყოველწლიურ გეგმას, პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალურ დატვირთვებს, სასწავლო მეცადინეობის განრიგს და უგზავნის მათ უნივერსიტეტის-ის სასწავლო განყოფილებას;
- ნ) ამტკიცებს პროგრამული მიმართულებების სასწავლო კურსების სილაბუსებს;
- ო) დეკანის წარდგინებით განიხილავს ფაკულტეტზე დასაქმებული აკადემიური და დამხმარე პერსონალის მუშაობის საკითხებს.
- პ) ახორციელებს კანონმდებლობით, ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი წესებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი III. დეკანი

მუხლი 14. დეკანის სტატუსი

- 14.1. ფაკულტეტის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს დეკანი;
- 14.2. დეკანის თანამდებობა არჩევითია დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით;
- 14.3. დეკანად შეიძლება აირჩეს სრული ან ასოცირებული პროფესორი;
- 14.4. დეკანის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს. ერთი პიროვნება ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე შესაძლებელია არჩეულ იქნას ზედიზედ არაუმეტეს ორი ვადისა.

მუხლი 15. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილება

- ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;
- ბ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
- გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის-ს აკადემიური საბჭოს, რექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
- დ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამებს;
- ე) ფაკულტეტის საბჭოს წინაშე შეიმუშავებს წინადადებებს ცალკეულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ვ) ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს წინადადებებს სტუდენტთა მობილობის, მათთვის მატერიალური დახმარების ან სხვა სახის შეღავათების გაწევის შესახებ;

- ზ) ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს წინადადებებს სტუდენტთა აკადემიური შეფასების მდგომარეობას;
- თ) ყოველი დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე რეაგირებისთვის აყენებს საკითხს ფაკულტეტის საბჭოში;
- ი) ფაკულტეტის საბჭოს წინაშე აყენებს წინადადებებს ფაკულტეტზე დასაქმებული აკადემიური და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასების შესახებ;
- კ) ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს წინადადებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის შესაბამისი პირობების დაწესების შესახებ;
- ლ) მონაწილეობს ფაკულტეტის წლიური სასწავლო გეგმის, პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის, სასწავლო მეცადინეობის განრიგის შედგენაში;
- მ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ახორციელებს მაგისტრატურაში სწავლების პროცესის ორგანიზაციას, ადგენს მაგისტრანტების მეცადინეობის განრიგს და აქვეყნებს მათი მეცადინეობის ცხრილს.
- ნ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს აქტებს, რომელთა გასაჩივრება შეიძლება ფაკულტეტის საბჭოში ან/და რექტორთან.
- ო) ადგენს ფაკულტეტის საქმის წარმოების წესებს;
- პ) ახორციელებს ამ დებულებით უნივერსიტეტში მოქმედი წესებით და კანონმდებლობით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.
- ჟ) სტუდენტის სტატუსის აღდგენისა და სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ დასაბუთებული დასკვნის წარდგინებით შედის რექტორთან.

თავი IV. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 16. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტატუსი

16.1. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

16.2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი ნებისმიერი პირი.

16.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, შინაგანაწესის, უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესების და ამ დებულების შესაბამისად.

16.4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე.

მუხლი 17. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები

17.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

17.2. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ერთობლივად შეიმუშავებენ წინადადებებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ.

17.3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვ.) გამოყენებისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით.

17.4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად:

- ა) ადგენს ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესაბამისობას ფაკულტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან;
- ბ) შეისწავლის და ანალიზს უკეთებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამებისა და გეგმების შესრულების მდგომარეობას;
- გ) ზრუნავს სასწავლო გეგმების, სასწავლო პროგრამების დახვეწასა და ოპტიმიზაციაზე, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე, მათ გამჭვირვალეობასა და მონიტორინგის ქმედითობაზე;
- დ) ხელს უწყობს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას;
- ე) ამზადებს ფაკულტეტის თვითშეფასებას;
- ვ) განსაზღვრავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებაში სტუდენტთა მონაწილეობის ფორმებს.
- ზ) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის დონის ამაღლებას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით;
- თ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ახდენს აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას;

მუხლი 18. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციები

18.1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:

- ა) ორგანიზებას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობას;
- ბ) თავისი კომპეტენციის ფერგლებში კოორდინირებას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობას;
- გ) ამზადებს წინადადებებს ფაკულტეტზე სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხისა და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;
- დ) მონაწილეობს შესაბამისი ინსტრუქციებისა და დებულებების პროექტების შემუშავებაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციების მიხედვით;
- ე) ახორციელებს ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი წესებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
- ვ) მონიტორინგს უწევს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას და უზრუნველყოფს რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამის სრულყოფას.

თავი V. პროგრამული მიმართულებები.

მუხლი 19. პროგრამული მიმართულებების დანიშნულება

პროგრამული მიმართულებების დანიშნულებაა შესაბამის დისციპლინებში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელება თანამედროვეობის მოთხოვნებისა და საერთაშორისო მიღწევების გათვალისწინებით.

მუხლი 20. პროგრამული მიმართულების შემადგენლობა

პროგრამული მიმართულება შედგება ხელმძღვანელის, პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორების, ასისტენტების, მასწავლებლებისა და სპეციალისტებისაგან (ლაბორანტებისაგან).

მუხლი 21. პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი

21.1. პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი არის სრული ან ასოცირებული პროფესორი.

21.2. პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს მიმართულების წევრთა მუშაობას, ხელმძღვანელობს მიმართულების სხდომებს, სასწავლო პროცესს და პასუხისმგებელია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე მიმართულების მუშაობისათვის.

მუხლი 22. პროგრამული მიმართულების ფუნქციები

პროგრამული მიმართულება:

- ა) შეიმუშავებს წლიურ სამუშაო გეგმას, განიხილავს სასწავლო პროგრამებს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად;

- ბ) შეიმუშავეს საკვალიფიკაციო შრომების თემატიკას და ხელმძღვანელების კანდიდატურებს და წარუდგენს საბჭოს დასამტკიცებლად;
- გ) ამტკიცებს საგანმნათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შეფასების საკითხებს;
- დ) აღძრავს შუამდგომლობას პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სასწავლო და სამეცნიერო მივლინებაში ან ურთიერთგაცვლის წესით გასაგზავნად;
- ე) ამოწმებს ლექციებისა და სემინარების ჩატარების დონეს და იღებს შესაბამის ზომებს ამ მხრივ ხარვეზების გამოსასწორებლად;
- ვ) ხელმძღვანელობს სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას;
- ზ) კოორდინაციას უწევს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებს;
- თ) აწვობს სამეცნიერო შრომების განხილვას, სამეცნიერო სემინარების ჩატარებას, შეხვედრებს გამოჩენილ მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან;
- ი) აღძრავს შუამდგომლობას შესაბამისი სპეციალისტის მოწვევის შესახებ;
- კ) სასწავლო წლის ბოლოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს გაწეული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშს.
- ლ) ახორციელებს სხვა საქმიანობას რექტორის ან დეკანის დავალებით.

მუხლი 23. მიმართულების პროფესორები და მასწავლებლები

23.1. მიმართულების პროფესორი არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ფაკულტეტზე.

23.2. პროფესორი ადგენს სილაბუსს და კითხულობს ლექციებს შესაბამის საგანში/საგნებში ანდა ატარებს პრაქტიკულ-სემინარულ მეცადინეობას და იბარებს გამოცდებს.

23.3. ასოცირებული პროფესორი არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტთა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. იგი ადგენს სილაბუსებს და კითხულობს ლექციებს შესაბამის საგანში ან ატარებს პრაქტიკულ-სემინარულ მეცადინეობას და იღებს გამოცდებს.

23.4. ასისტენტ-პროფესორი არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობა, რომელიც თავისი კომპენტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მეცადინეობაში.

23.5. ასისტენტი არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობა, რომელიც მუშაობს პროფესორ ან ასოცირებულ პროფესორთან და თავისი კომპენტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მეცადინეობაში.

23.6. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება უფროსი მასწავლებელი და მასწავლებელი. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, მას უნდა ქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

თავი VI. უმაღლესი განათლების საფეხურები

მუხლი 24. სწავლების საფეხურები

ფაკულტეტზე აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურებია:

- ა) ბაკალავრიატი,
- ბ) მაგისტრატურა
- გ) დოქტორანტა

მუხლი 25. ბაკალავრიატი

25.1. ბაკალავრიატი არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

25.2. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ საშუალო განათლების დამადასტურებელი სერთიფიკატის მფლობელს, რომელმაც საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და ჩაირიცხა უნივერსიტეტში.

25.3. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი.

25.4. ბაკალავრიატის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინებში და საკვალიფიკაციო გამოცდაში (საბაკალავრო ნაშრომის დაცვაში) დადებითი შეფასებების მიღების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეძლევა სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი (დანართთან ერთად).

25.5. ბაკალავრიატში სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ბაკალავრიატის დებულებით.

მუხლი 26. მაგისტრატურა

26.1. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას. აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

26.2. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირს.

26.3. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.

26.4. მაგისტრატურის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინებში, საკვალიფიკაციო გამოცდაში, სამაგისტრო ნაშრომის დაცვაში დადებითი შეფასებების მიღების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი და ეძლევა სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი (დანართან ერთად).

26.5. მაგისტრატურაში სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მაგისტრატურის დებულებით.

თავი VII. სტუდენტის ძირითადი უფლება-მოვალეობები, სტუდენტური თვითმმართველობა

მუხლი 27. სტუდენტის ძირითადი უფლებები

27.1. ფაკულტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის ყველა იმ ძირითადი უფლებისა და თავისუფლების დაცვას, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესებით.

27.2. ფაკულტეტის სტუდენტის ძირითადი უფლებებია:

- ა) მიიღოს ხარისხიანი უმაღლესი განათლება;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს ფაკულტეტის მართვაში;
- გ) თანაბარ პირობებში ისარგებლოს ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- დ) მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის შესახებ;
- ე) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი;
- ვ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში და სამეცნიერო კვლევებში;
- ზ) მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად მიიღოს სტიპენდია.

27.3. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა ხორციელდება ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის პროპორციულად უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ამ დებულებით და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

27.4. სტუდენტს უფლება აქვს წერილობითი დოკუმენტაცია მიიღოს მის დისციპლინურ დევნასთან დაკავშირებით, ისარგებლოს დაცვის უფლებით, მონაწილეობდეს მტკიცებულებების გამოკვლევაში, გაასაჩივროს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.

მუხლი 28. სტუდენტის ძირითადი მოვალეობები

ფაკულტეტის სტუდენტი ვალდებულია:

- ა) ისწავლოს დამტკიცებული საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო და მის მიერ არჩეული სასწავლო კურსები;
- ბ) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და უნივერსიტეტში მოქმედი წესები.
- გ) დაიცვას ფაკულტეტზე შემოღებული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების განრიგი, შეასრულოს ფაკულტეტის ხელმძღვანელობის და პროფესორის სამართლიანი მოთხოვნები;
- დ) იყოს სამართლიანი და მომთხოვნი როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის მიმართ.

თავი VIII. დეკანის აპარატი (სამდივნო)

მუხლი 29. დეკანის აპარატის ფუნქციები

29.1. დეკანის აპარატი ხელს უწყობს დეკანს ორგანიზაციულ საქმიანობაში და ეხმარება მას ცალკეული დავალებების მომზადებასა და გადაწყვეტაში. აპარატი აგრეთვე ასრულებს დეკანის ცალკეულ დავალებებს.

29.2. დეკანის აპარატში შედიან: მთავარი სპეციალისტები და სპეციალისტები მათ დეკანის წარდგინების საფუძველზე ნიშნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 30. დეკანის აპარატის მთავარი სპეციალისტები და სპეციალისტები

30.1. დეკანის აპარატის მთავარი სპეციალისტი და სპეციალისტები, უზრუნველყოფენ დეკანის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ცალკეული დავალებების შესრულებას.

30.2. დეკანის აპარატის მთავარი სპეციალისტები და სპეციალისტები:

- ა) ამზადებენ და იცავენ სტუდენტთა აღრიცხვის ჟურნალებს;
 - ბ) აანალიზებენ სტუდენტთა ლექციებზე დასწრებას და ლეზულობენ ზომებს გაცდენების მინიმუმამდე დასაყვანად;
 - გ) ამზადებენ დოკუმენტაციას საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის;
 - დ) აცნობენ სტუდენტებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, რექტორის ბრძანებებს და დეკანის განკარგულებებს;
 - ე) ამზადებენ სტუდენტთა აკადემიურ ცნობებს;
 - ვ) ახორციელებენ სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოებას;
- ზ აწარმოებენ სტუდენტების და მათი აკადემიური მოსწრების აღრიცხვას;
- თ) უზრუნველყოფენ საგამოცდო უწყისების აღრიცხვას, დამუშავებას და მათ შენახვას;

- ო) წესრიგში მოჰყავთ და ინახავენ არქივისთვის სტუდენტთა პირად საქმეებს, ახარისხებენ და ამზადებენ საარქივო სხვა დოკუმენტაციას;
- კ) უზრუნველყოფენ ფაკულტეტზე არსებული დოკუმენტების საქმისწარმოებას;

თავი IX. პროგრამული მიმართულებების სპეციალისტები

მუხლი 31. პროგრამული მიმართულების სპეციალისტი

- ა) აფორმებს პროფესორ-მასწავლებელთა მორიგეობის განრიგს;
- ბ) ხელს უწყობს მიმართულების წევრთა დასწრებას სხდომებზე, მათ მონაწილეობას სხვა ღონისძიებებში;
- გ) აწვდის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებს სალექციო დატვირთვების მონაცემებს და სალექციო ცხრილის ამონაწერებს;
- დ) მიმართულების ხელმძღვანელის დავალებით ადგენს მიმართულების მუშაობის წლიურ გეგმის და ახდენს მსგავსი პროექტების ტექნიკურ უზრუნველყოფას;
- ე) იღებს პროფესორებისაგან სილაბუსებს და უზრუნველყოფს მათ შენახვას;
- ვ) ორგანიზაციას უწევს მიმართულებაზე ჩასატარებელი გამოცდების, სემინარების, სხდომების, განხილვების და სხვა ღონისძიებათა ჩატარებას;
- ზ) მიმართულების ხელმძღვანელს აწვდის ინფორმაციას სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ღონისძიებების შესახებ;
- თ) აფორმებს მიმართულების სხდომის ოქმებს;
- ი) პროფესორის მითითებით, ახორციელებს ლექციების ჩატარების ტექნიკურ უზრუნველყოფას;
- კ) აღრიცხავს და ინახავს შესაბამისი მიმართულების მასალებს, სტუდენტთა წერით ნამუშევრებს, საკვალიფიკაციო შრომებს და სხვა;
- ლ) ასრულებს ცალკეულ დავალებებს დეკანის და მიმართულების ხელმძღვანელის მითითებით.

თავი X. დასკვნითი დებულებები

მუხლი 32. ფაკულტეტის დებულების შემუშავების და დამტკიცების წესი წინამდებარე დებულებას განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და მისი შუამდგომლობის საფუძველზე ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 32. ფაკულტეტის დებულების შეცვლის წესი

ფაკულტეტის დებულების შეცვლა შეიძლება იმავე წესით, როგორც წესითაც იგი მიიღება.